

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო



ბეჭდებათა და ინსტრუქციათა

171

967

ЗКОДУЛ СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

8

0880160

თბილისი - 1967

საჩართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ.
30 ივნისის პრანება № 860

თელავისა და თეთრიწყაროს რაიონების ხელაშდელ
დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თელავის რაიონის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. აღმზრდელები ქ. პეტრიაშვილი (თელავის № 5 საბავშვო ბალი), ქ. ბუცხრიკიძე, გ. ამრუზოვა (თელავის ძაფსალები ფაბრიკის საბავშვო ბალი) და სხვები, მომზადებულად ატარებენ მეცადინეობებს. მუშაობაში იყენებენ თვალსაჩინოებას.

აღმზრდელმა ქ. პეტრიაშვილმა შეცადინეობაშე ჩანაფიქრით ხატვაში, წინასწარი გასაუბრებით სათანადო დახმარება გაუწია ალსაზრდელებს ჩანაფიქრის განხორციელებაში. აღმზრდელმა მ. ამრუზოვამ დიდაქტიკური თამაშის დროს დასმული კითხვებით: „რაშია შენახული?“, „რასთან დგას?“, „რაზე დევს?“ და სხვა, მოხერხებულად ავარჯიშა ბავშვები თანდებულების სწორად წარმოაქმაშე. დამაკმაყოფილებლად ჩატარა მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში აღმზრდელმა ქ. ბუცხრიკიძემ.

აღმზრდელთა უმრავლესობა სისტემატურად და მაღალ პედაგოგიურ დონეზე აწარმოებს ყოველდღიური მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვას. ფაქტზე აქვს მოვლილ-შენახული ბავშვთა ნამუშევრები. კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალის აღმზრდელი ნ. მირველოვა კარგად მუშაობს ბავშვებთან სახეით საქმიანობაში. კარგი მომზადება გამოავლინეს ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალის ალსაზრდელებმა (გამგე ქ. მთვარელიშვილი).

მისაბაძია № 5 საბავშვო ბალის გამგის ბ. ბურდიაშვილის ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ბავშვები ბალის მუშაკებისადმი. მოსაწონია მის მიერ შედგენილი მდგრადი სამუშაო





გეგმა, აღნიშნულ საბავშვო ბალსა და № 1 ბაგა-ბალში კარგადაც დამტკიცია და გაანალიზების საქმე, სისტემატურად ტარდება ლია მეცადინეობება. დამაკმაყოფილებლად მუშაობს თელავის რაიონის სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაურთიანება (ხელმძღვანელი ქ. გამხეტელაშვილი).

რაც შეეხება თეთრიწყაროს, ამ რაიონის სკოლამდელი დაწესებულებანი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ. აღმზრდელთა უმრავლესობა გამოუდელია და სათანადო პედაგოგიურ მომზადებას ვერ ავლენს. ასე, მაგალითად, თეთრიწყაროს საბავშვო ბალის აღმზრდელმა ვ. ლიკოვამ მეცადინეობაზე—მშობლიურ ენაში ბავშვების ყურადღება გაამახვილა გრამატიკის ელემენტებზე, მაშინ, როდესაც საბავშვო ბალის ამოცანაა არა გრამატიკის სწავლება, არამედ გრამატიკულად სწორი მეტყველების ჩვევების გამომუშავება. თეთრიწყაროს რაიონის კოდის საბავშვო ბალის აღმზრდელმა მ. სომხიაშვილმა მეცადინეობაზე თელა-ანგარიშში ვერ გამოიყენა თვალსაჩინოება, ბავშვებმა ვერ შეძლეს რიცხვი 10-ის შედგენილობის გაგება. ასევე დაბალ დონეზე ჩატარა მეცადინეობა მშობლიურ ენაში თელავის ძაფსაღები ფაბრიკის საბავშვო ბალის აღმზრდელმა ნ. გასპარიშვამ.

ჯეროვან ყურადღებას არ აქცივენ ყოველდღიური მუშაობის ავეგმეა-აღრიცხვას აღმზრდელები—ა. წამალაშვილი, ა. კახიანი (თეთრიწყაროს საბავშვო ბალი), თ. კახაშვილი (თელავის რაიონის კისისხევის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალი), ზ. არჩევაძე (ასურეთის საბავშვო ბალი).

ზოგიერთ საბავშვო ბალში სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმე, თეთრიწყაროს რაიონის კოდის საბავშვო ბალში (გამგე დ. სენიაშვილი) კედლები გადატვირთულია ნაძვის ხის ტოტებით, დაძველებული, დამტვრიანებული სტრუქტურით და სხვადასხვა ხის სურათებით. ანალოგიური მდგომარეობაა ასურეთის საბავშვო ბალში (გამგე ქ. ბაკურაძე). ამ მზრივ არადამაყოფილებელი მდგომარეობაა თელავის რაიონის ნასამხრალის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალშიც (გამგე მ. ბალათრიშვილი), სადაც უწესრიგოდ არის მიყრილ-მოყრილი სათამაშოები. სანიტარულ-ჰიგიენური რეკიმი არ არის დაცული თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის საბავშვო ბალში.

სუსტად მუშაობს და სათანადო დახმარებას ვერ უწევს პედაგერსონალს თეთრიწყაროს რაიონის სკოლამდელ მუშაკთა მეთოდ-

გაერთიანება (ხელმძღვანელი ლ. აბუსერიძე, თეთრიშვიაროს საბაკ-
შვი ბალის გამგე). მეთოდების მუშაობაში არ არიან ჩატარებული
ლი მანგლისის საბავშვო ბალის აღმზრდელები.

თელავისა და თეთრიშვიაროს რაიონების განათლების განყო-
ფილებანი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ კადრების სწორად
შერჩევის საქმეს. თელავის რაიონის ნასამხრალის საბჭოთა მეურ-
ნეობის საბავშვო ბალში გამგის შვებულებაში ყოფნის პერიოდში
მის ადგილზე როგორც პედაგოგიურ, ასევე აღმინისტრაციულ სმუ-
შაოს ასრულებდა მზარეული ვ. ბალათრიშვილი, თეთრიშვიაროს
რაიონის მანგლისის საბავშვო ბალში სპეციალური სკოლამდელი
განათლების მქონე ჯ. ჭილაძე გამოყენებულია მუსიკის ხელმძღვა-
ნელად, მაშინ როცა არის პირობები ჭილაძე აღმზრდელად მუ-
შაობდეს. რ. თეთრაძისა და ჯ. ჭილაძის შორის გაუთავებელი კინ-
კლაობა და ჩეუბია.

ზოგიერთი საბავშვო ბალის გამგე ნაკლებ ყურადღებას აქ-
ცევს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების დროულად
შესრულებას. მაგალითად, თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა
მეურნეობის საბავშვო ბალის გამგეს ა. ლუდუშაურს მ/წლის მარ-
ტის თვის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 6 საკითხიდან აპ-
რილის შეა რიცხვებისათვის არც ერთი არ ჰქონდა შესრულებუ-
ლი. ანალოგიური მდგრამარეობაა ამავე რაიონის კისისხევის საბ-
ჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალში (გამგე (ვ. ლაფაური); თეთრი-
შვიაროს რაიონის კოდის საბავშვო ბალის გამგე დ. სეხნიაშვილი
ვერ უზრუნველყოფს საბავშვო ბალში დღის რეეიმის ზუსტად დაც-
ვას—ნაცვლად 10 საათისა საუზმე გაიცა 11 საათსა და 15 წუთზე.
თეთრიშვიაროს საბავშვო ბალის გამგე ლ. აბუსერიძე სათანადო
კონტროლს ვერ აწესებს საბავშვო ბალში პროდუქტების ხარჯების
საქმეზე, რის გამოც ადგილი აქვს დარღვევებს. მ/წლის 18/III მე-
ნიუ-მოთხოვნილებით 86 ბავშვზე გაწერილი იყო 3, 2 კგ ხორცი,
რომელიც სამზარეულოში არ აღმოჩნდა.

კოდისა და ასურეთის საბავშვო ბალებში მოუწესრიგებელია
კვების პროდუქტების შენახვის საქმე—არ აქვთ პროდუქტებისა-
თვის ცალკე საწყობი, აღნიშნული საბავშვო ბალები მოთავსებული
არიან დაქირავებულ შენობებში, მოუწესრიგებელია თეთრიშვიაროს
საბავშვო ბალის წყალგაყენილობისა და გათბობის სისტემა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ



1. თეოლოგისა და თეორიიწყაროს რაიონების განათლებისაუზღვისა კონფერენციას კონფიდენციალურად გამგებებმა:

ა) ეს ბრძანება განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სკოლამდელი აღზრდის მუშაკებთან ერთად და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საბავშვო ბალებს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანებების მუშაობაზე, ყველა აღმზრდელი (განურჩევლად საბავშვო ბალის უწყებრივი დაქვემდებარებისა) ჩააბან შეთოდგაერთიანების მუშაობაზი;

2. რაიონის სკოლამდელთა მეთოდგაერთიანების მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და საბავშვო ბალში პროდუქტების ხარჯვაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის გამოეცხადოს საყვედური თეორიიწყაროს საბავშვო ბალის გამგეს ლ. აბუსერიძეს.

3. მანგლისის საბავშვო ბალის გამგეს რ. თეორაძეს, რომელმაც გამოიჩინა პედაგოგისათვის შეუფერებელი საქციელი, რის გამოც ადგილი აქვს თანამშროლებს შორის არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას და კინკლაობას, გამოეცხადოს საყვედური;

4. წინადადება მიეცეს თეორიიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს დ. ბექაურს:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მოახსენოს განათლების სამინისტროს მ/წლის 15/IХ-თვის;

ბ) სუსტი მუშაობის გამო შესაფერისი სასჯელი დაადოს დ. სეხნიაშვილს; ქ. ბაკურაძეს (კოდისა და ასურეთის საბავშო ბალების გამგები), ვ. ლიკოვას, ა. კახიანს (თეორიიწყაროს საბავშვო ბალი), ზ. არჩევაძეს (ასურეთის საბავშვო ბალი);

გ) ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს მანგლისის საბავშვო ბალში დამატებითი ჯგუფის გახსნა და ჯ. ჭილაძის აღმზრდელად გამოყენება.

5. ეცნობოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თელავის რაიონის კისისხევის საბჭოთა მეურნეობისა და სოფ. ნასამხრალის საბავშვო ბალის სუსტი მუშაობის შესახებ.



6. დაისვას საკითხი თეორიულაროს რაისაბჭოს აღმასეულის ცინაშე კოდისა და ასურეთის საბავშვო ბალების შენობებით უზავაუკომის რუნველუფლეობისა და თეორიულაროს საბავშვო ბალის წყალგაყვანა-ლობისა და გათბობის სისტემის მოწესრიგების შესახებ.

7. სკოლამდელი აღზრდის განცოდილებამ (უფროსი გ. აბდუ-შელიშვილი) კონტროლი დაწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 30 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ვ ი მ ტ კ ი ც ე ბ .

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

თ. ლაშეკარაშვილი

1967 წლის 14 ივნისი

ვ ი მ ტ კ ი ც ე ბ .

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
დაცვის მინისტრი

ხ. ხაყვარელიძე

1967 წლის 15 ივნისი

საჩართველოს სსრ განათლების სამინისტროს სანატორიული სატურო ცერემონია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. სანატორიული სატყეო სკოლა ყალიბდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში და წარმოადგენს სასწავლო და გამაჯანსაღებელი ხასიათის სახელმწიფო დაწესებულებას.

სანატორიული სატყეო სკოლა პროფილაქტიკურ-სამკურნალო ონისძიებათა გატარებასთან ერთად, ახორციელებს ზოგად-საგანმანათლებლო აღოცანებს, რისთვისაც ბავშვებთან ატარებს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას დაწყებითი და რვაწლიანი სკოლის შესატყვისი კლასების პროგრამების მიხედვით.

2. სანატორიული სატყეო სკოლა ისსწება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ, სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად და მისი დაფინანსება ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტით.

3. სანატორიული სატყეო სკოლის მუშაობაზე უშუალო ორგანიზაციულ-აღმინისტრაციულ, სამკურნეო ხელმძღვანელობას და ქონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფას და სკოლაზი სამკურნალო, სანიტარულ პროფილაქტიკური და ეპიდსაწინა-8



აღმდევო ლონისძიებათა გატარებაზე ხელმძღვანელობას და კონფრინტაციურობას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

4. სანატორიული სატყეო სკოლის მომარივება სამედიცინო შორისობილობით ეკისრებათ ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებს.

5. სანატორიული სატყეო სკოლა ყალიბდება 7—15 წლის ასაკის ბავშვებისათვის (I—VIII კლასები).

6. სანატორიული სატყეო სკოლის მოსწავლეებს ადგილები ენახება თავიათ სკოლებში და დაბრუნებისას ამ მოსწავლეებს შემოწმების გარეშე მიიღებენ სათანადო კლასში, სანატორიული სატყეო სკოლიდან გაცემული დოკუმენტების საფუძველზე.

II. შენობა და მოწყობილობა

7. სანატორიული სატყეო სკოლა, როგორც წესი, იხსნება ისეთ ადგილებზე, სადაც ხელსაყრელი კლიმატური პირობებია, შეგუებულ ან სპეციალურად აგებულ შენობაში.

8. სანატორიული სატყეო სკოლის ტერიტორია და შენობა უნდა აქმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და მოთხოვნილებებს, რასაც უყვენებენ საბავშვო სანიტარულ და სასკოლო დაწესებულებებს (მიწის ნაკვეთი, ეზოს კეთილმოწყობა, შენობის ფართობი, შენობის შიდა დაგეგმარება, სასმელი წყალი, კინალიზაცია, გათბობა და სხვა). სკოლას უნდა გააჩნდეს მწვანე მოედანი, მიწის ნაკვეთი ბოსტნისა და ყვავილნარისათვის, აგრეთვე სპორტული მოედნები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით, მოსწავლეთა კვების გაუმჯობესების მიზნით სანატორიულ სატყეო სკოლებთან შეიძლება მოწყობილობა დამზადო შეურნეობა.

9. სამკურნალო-პროფილაქტიკური და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის სანატორიული სატყეო სკოლის შენობას უნდა გააჩნდეს შემდევი სახის ბინები:

- ა) საქლასო ოთახები (კლასების რიცხვის მიხედვით);
- ბ) სამასწავლებლო;
- გ) სასწავლო კაბინეტები;
- დ) ოთახი ბიბლიოთეკისათვის;
- ე) სპორტდარბაზი, კლუბი;
- ვ) აირნები, მოწყობილი სასკოლო მუშაობისათვის და სუფთა ჰაერზე ძილის ჩასატარებლად;

- ბ) საექიმო კაბინეტი;
 - თ) საწოლი ოთახები;
 - ი) სასადილო;
 - კ) ოთახი სამკურნალო პროცედურებისათვის;
 - ლ) საპირფარეშო, —საშაბაო ოთახი;
 - მ) სამზარეულო, საკუპნაო, სამრეცხაო, საშრობი, საწყობი და სხვ.
 - ნ) იზოლატორი,
10. სანატორიული სატყეო სკოლის მოწყობილობა უნდა უპასუხებდეს იმ ნორმატივებს, რაც დადგენილია სანატორიული რეების შესრულებისათვის და სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის სწორად მოწყობისათვის.

III. სანატორიული სატყეო სკოლის დაკომპლექტება

11. სანატორიულ სატყეო სკოლაში გაიგზავნებიან ზოგად-საგანმანათლებლო სკოლის ის მოსწავლეები, ტრომლებიც იმყოფებიან ტუბერკულოზური დისპანსერების საბავშვო განყოფილებებისა და პოლიკლინიკების ტუბერკულიოზურ განყოფილებათა აღრიცხვაზე შემდეგი სამედიცინო მაჩვენებლებით:

- ა) I—II საფეხურის ტუბერკულიოზური ინტოქსიკაცია;
- ბ) ტუბერკულიოზური ბრონქოადენიტები შეწოვის ან გამკვრიცების ფაზაში;
- გ) ფილტვის ინფილტრატები შეწოვის ან გმეცრივების ფაზაში;
- დ) ძელებისა და სახსრების ტუბერკულოზის ჩამქრალი ფორმები, მისი სანატორიუმში ან შინ მუზრნალობის შემდეგ სპონდილიტები, კოქსიტები, გონიტები (იმ შემთხვევაში თუ ბავშვს შეუძლია სიარული სხეისი დახმარების გარეშე).

12. სანატორიულ სატყეო სკოლაში გასაგზავნ კონტინგენტს შეადგენს ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილებებსა და რაიონის მთავარ ექიმებთან ჩამოყალიბებული საექიმო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ქალაქის ან რაიონის პედიატრი, ტუბდისპანსერის წარმომადგენელი ან ექიმი ფთიზიატრი და სკოლის ექიმი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს საქალაქო ან რაიონული განათლების განყოფილების წარმომადგენელი. აღნიშნული კომისია სანატორიულ სატყეო სკოლისათვის ბავშვების შერჩევას აფორმებს ოქმით.

13. ამ კომისიის დასკვნების საფუძველზე ბავშვები სარაიონის განვითარების განათლების განკუთილებების მიერ საგზურებით იგზავნებიან სანატორიულ სატყეო სკოლებში.

საგზურებს თან ერთვის:

ა) ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ (მოსწავლის მიერ გადატანილ ავადმყოფობათა, ჩატარებული აცრებისა და ანალიზების შესახებ);

ბ) ბავშვთა პოლიკლინიკის მიერ შეესტული საკურორტო ბარათ;

გ) მოსწავლის დახისიათება სკოლიდან (წარმატება, ყოფაქცევა);

დ) სანატორიული სატყეო სკოლის ექიმი ამოწმებს თითოეული ბავშვის ჯანმრთელობას და მასალებს წარუდგენს ღირექტორს. წარდგენილი დასკვნების საფუძველზე ღირექტორი ჩარიცხავს ბავშვს სანატორიულ სატყეო სკოლაში.

14. სანატორიულ სატყეო სკოლაში პირველ რიგში გაიგზავნებიან ინეალიდებისა, პენსიონერებისა და ხელმოკლე ოჯახის შეილები.

15. სანატორიული სატყეო სკოლა კომპლექტდება წელიწადში 5-ჯერ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განრიგის მიხედვით. მიღების დაწყებიდან 5 დღის გასვლის შემდეგ სანატორიულ სკოლაში წყდება ბავშვების მიღება.

შენიშვნა: სამედიცინო ჩენებისათვის მიხედვით მოსწავლეს შეიძლება გაუგრძელდეს საგზური განმეორებით, სანატორიული სატყეო სკოლის ექიმის დასკვნის საფუძველზე.

IV. სასწავლო-სააღმზრდელო და გამაჯანსაღებული მუშაობის ორგანიზაცია

16. სანატორიული სატყეო სკოლა მომსახურეობას უწევს თიოეული წყების ბავშვებს სეზონის განმავლობაში.

17. სანატორიულ სატყეო სკოლაში სასწავლო მეცანიერობა შეფარდებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობასთან. მეცადინეობა მიმღინარეობს მეოთხედების მიხედვით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული განრიგით.

სამუშაონალო გამაჯანსაღებელ მუშაობასთან ერთად, მოსწავლეებთან ტარდება კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი.

18. სასკოლო მეცადინეობა მოსწავლეებთან აგებულია საკლასო გაევეთილების სისტემაზე და ტარდება მტკიცე ცხრილის მიხედვით.



19. ქლასში მოსწავლეთა რაოდენობა საშუალოდ არ ჭრიანი აღმატებოდეს 20-ს.

20. სანიტარულ-სატყეო სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლიობა უდრის 40 წუთს, დიდი დასვენებისა—30 წუთს, დასვენებისა კი—10—10 წუთს.

21. სანატორიული სატყეო სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა აგებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმების, პროგრამების და საინსტრუქციო-მეთოდურ მითითებათა საფუძველზე. სანატორიულ სატყეო სკოლაში გამაჯანსაღებელ-სამკურნალო მუშაობა მიმღინარეობს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მითითებათა საფუძველზე.

22. სანატორიული სატყეო სკოლამ უნდა უზრუნველყოს:

ა) სამკურნალო პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ ყველა საჭირო ონბინძიებათა გამოყენება;

ბ) სასწავლო მუშაობის მოწყობა სუფთა ჰაერზე, მზის, ჰაერისა და წყლის მიზანშეწონილი გამოყენება ბაეშეთა ჯანმრთელობის გაკაებისათვის;

გ) მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის მტკიცე, სისტემატური ათვისება დაწყებითი და რეაწლიანი სკოლების შესატყვისი ქლასების პროგრამებით;

დ) სპეციალური კვების ჩატარება;

ე) სწორი ფიზიკური განვითარება და ჯანსაღი სპორტული ჩვევების დანერგვა;

ვ) კლასგარეშე მუშაობის ჩატარება;

ზ) მოსწავლეთა შრომისა და დასვენების სწორი ცვლა.

23. სანიტარული სატყეო სკოლის დღის რეემით დგება სკოლა-ინტერნატისათვის შემუშავებული ტაბიური დღის რეემის მხხდედვით. ცალკეული ბაეშვებისათვის დღის რეემის შეცვლა შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე სანატორიული სატყეო სკოლის ექიმის ნებართვით.

წარმოდგენილი დღის რეემით მუშაობა იწარმოებს 5 აპრილიდან 10 ნოემბრამდე, ხოლო 10 ნოემბრიდან 5 აპრილამდე ყველაფერი, რაც დღის რეემითაა გათვალისწინებული გადაინაცვლებს 30 წუთის დაგვიანებით.

ზაფხულის პერიოდში დღის რეემით შეიცვლება საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის გათვალისწინებით.



V. სანატორიული ხატუეო სკოლის ხელმძღვანელობა და ანგარიში სკოლის მიზანი

24. სანატორიული სატუეო სკოლის სათავეში დგას დირექტორი—პედაგოგი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

სკოლის დირექტორი, ერთმშაროველობის საფუძველზე, ხელმძღვანელობს სანატორიულ სატუეო სკოლის მთელ მუშაობას და პასუხს ავტორულ-გამაჯანსალებელი, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის მდგომარეობაზე.

სანიტარული სატუეო სკოლის დირექტორს ევალება ნაკადებს შორის თავისუფალ ვადებში მოამზადოს სანატორიული სატუეო სკოლის შენობა და ინვენტარი შემდგომი ნაკადის მისაღებად (ჩატარდეს გენერალური დასუფთავება სადგომების). პროფესიონალური, ინვენტარის შეკეთება, ლოგინის გადახალისება და სხვ.), ხოლო წლის განმავლობაში რომელიმე ერთი მეოთხედის დახურვით უზრუნველყოს სანიტარული სკოლის შენობების მიმღინარე და კაპიტალური შეკეთება. ამ პრიორდში უნდა მოხდეს სანატორიული სკოლის ყველა მუშა-მოსამსახურთა შეებულებაში გაშვება.

25. სანიტარულ-პროფილაქტიკურ, ეპიდსაწინააღმდევობა და სამეურნალო ღონისძიებათა გატარებაზე კონტროლს ახორციელებს ექიმი, რომელიც უნდა იყოს სანატორიული სატუეო სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრი.

26. სასწავლო-სააღმზრდელო | მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, დანიშნული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.;

დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ეკისრება შეათავსოს სატუეო სკოლაში ჩასატარებელი პედაგოგიური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

27. სასწავლო-სააღმზრდელო და გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითადი საკითხები წყდება სანატორიული სატუეო სკოლის პედაგოგიურ საბჭოშე.

28. სანატორიულ სატუეო სკოლაში გათვალისწინებულია შემდეგი საშტატო ერთეულები: მასწავლებლები, აღმზრდელები, კლას-გარეშე მომუშავენი, პიონერხელმძღვანელები, სამედიცინო მომსახურების პერსონალი. სანატორიული სატუეო სკოლის პერსონალური რაოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული საშტატო განრიგით.



29. სანატორიული სატყეო სკოლა თავის მუშაობის ანგარიშების
წარუდგენს საქართველოს სარ განათლების სამინისტროს, ანგარი-
შის ასლი ეგზავნება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის ბის დაცვის
სამინისტროს.

30. სანატორიულ სატყეო სკოლას გრძ. ჩვენალი პეტედი და
შრამპი.

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს სკოლა-ინტერნა-
ტებისა და საბავშვო სახლების
სამმართველოს უფროსი

გ. ჩინჩილაძე

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
სამინისტროს ლეგაცია და ბაკ-
შვეთი პროფესიული ქრისტიანი დახმა-
რების სამმართველოს უფროსი
ლ. ირემაზე

శ్రీ తానిథి శ్రీ ల ० ०

శాసతల్పుబడిస, శ్రీమతుల్పు క్వాలిసుల డా
సామ్యప్రభురూ డాట్స్‌ప్రైవేట్‌ట్రూల్పుబడిస మ్హ-
షెప్టో తెలుగుగ్రమిసిస సాజార్త్వుల్లు
ఏప్లికేషన్లు క్రమించుతుస తాప-
మ్ముల్లించి

అ. శామ్మాజ్యేరుండ్ర

25 ఊళిసి 1967 ఫ.

ప ० ३ ८ १ ० ० ८ २ ३

సాజ్యార్త్వుల్లు సిర్ గానంతల్పుబడిస
మినిస్ట్రీస్

ఫ. లూష్యోర్కాశ్వర్గలు
ప. తథిల్లిసి, 25 ఊళిసి 1967 ఫ.

శరోఖితి శినుచానుచ్ఛవి

సానాతంఖితుల్లు సాత్యమి కెంట్లుఎదిస శుశాప్తాత్మకిస

I. శాయకితి ఘేష్టుల్లుబడాని

1. సాధ్యంతా సంప్రాయిలిస్‌ట్రూరీ ర్యేస్‌ప్రైవేట్‌బడిస క్రాప్‌శింసిస క్రమ-
స్ట్రీట్‌ప్రాయిలిస 130-ఎ మ్హబ్లిస శ్రేసాబామిసాడ సిర్ క్రాప్‌శింసిస ప్రమ్ముండ్రి
వాల్‌డ్రెప్పుల్లు డాయ్‌ప్రోస శరోమిస డిస్‌ప్రిప్లిండిస.

శరోమిస డిస్‌ప్రిప్లిండినా సాధ్యంతా క్రాప్‌శింసిశిం ప్రయ్యిల్‌న్‌బా శరోమి-
సాఫిమి మింజాల్‌ఫ్రెంటా శ్రేగ్‌బ్రెష్‌ల డామ్‌ప్రిప్పెచ్‌ల్లుబడాస.

2. శరోమిస శినుచాన్‌ష్టేసిస మించానీస ఉథ్‌రుణ్‌ప్రెప్పుల్లు శరోమిస సం-
ప్రాయిలిస్‌ట్రూరీ డిస్‌ప్రిప్లిండిస గాన్‌మర్క్‌ప్రోప్‌బా, శరోమిస బ్యూప్‌రో న్‌రోగానీ-
శాప్‌సా డా మిసి ఉశ్మిశ్రమించిస వింప్రాప్‌బడి, సామ్మిశాం డాప్‌మిస మింప్రా-
నీం డా రొపింంసాల్‌రూడ గామ్‌ప్రోబడా, సామ్మిశాం డాప్‌మిస వింప్రాప్‌బడిస
శ్రేష్ఠునా, రాతా స్కోలా-సాన్‌త్రోమింప్సి మింప్రేష్‌ల వ్యేస్ సాస్థీప్రో-
ప్రామించ్‌ర్ఫెల్‌మించి డా గామ్‌ప్రాన్‌సాల్‌బ్రెష్‌ల మింప్రాప్‌బడిస మాలాల డాప్‌బ్రెష్

II. సానాతంఖితుల్లు సాత్యమి కెంట్లుఎదిస మ్హుశాక్తా మిండ్‌బడిస డా డాట్‌సాంగ్‌బడిస ఫ్యేసి

2. సానాత్‌మించ్‌బడిస సాత్యమి స్కోలిస డాప్‌బ్రెష్‌ట్రోస్, డాప్‌బ్రెష్‌ట్రోస్ మి-
ంప్రాప్‌బడిస సాస్థీప్రో-సాంలిమించ్‌బడి మ్హుశాంబడిస డాప్‌బ్రెష్, మిం-
ప్రాప్‌బడిస, అమించ్‌బడిస, ఉప్‌ప్రో, మ్హుశాం‌ట్రోస్ డా సామ్మేగ నాచి-

ლის გამგეს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყავს და ათავისუთ—
ლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს, ერთი ადგილიდან
მეორეზე გადაყავს და ათავისუფლებს სანატორიული სატყეო სკო-
ლის დირექტორი, ალექს რაიონულ, საქალაქო კომიტეტთან შეთან-
ხბებით.

სკოლა-სანატორიუმის შტატით გათვალისწინებული ტექნიკუ-
რი მუშავები: ცეცხლფარეზი, მრეცხავი, მზარეული, სამზარეულოში
მომუშავენი, მექუჭნავე, დარაჯი, ლამის ძია, თეთრეულის გამგე და
სხვა დაბალი მოსამსახურე პერსონალი სამუშაოზე მიღებიან და
განთავისუფლდებიან სანატორიული სატყეო სკოლის დირექტორის
მიერ. მუშავის მიღება-განთავისუფლება ჟაუკილებლად უნდა გა-
ფორმდეს სათანადო ბრძანებით.

4. სამუშაოზე მიღებისას ადმინისტრაცია ვალდებულია მისა-
ლებ პირს მოსთხოვოს შრომის წიგნაკი, ცნობა ჯანმრთელობის
მდგომარეობის შესახებ და პასპორტი. იმ ადგილებში კი, სადაც
პასპორტი არ არის შემოღებული და იმ პირს, ვინც პირველად
იწყებს მუშაობას—სახლმშართველობის ან სასოფლო საბჭოს ცნობა
უკანასკნელი საქმიანობის შესახებ.

პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალის სამუშაოზე მიღე-
ბისას ადმინისტრაცია ვალდებულია, გარდა ზემოაღნიშნული საბუ-
თებისა, მოითხოვოს აგრეთვე დიპლომი განათლების შესახებ.

იმ პირთ, რომლებსაც 2-3 წლის წინათ აქვთ დამთავრებუ-
ლი პედაგოგიური ინსტიტუტი, სამასწავლებლო ინსტიტუტი და
პედაგოგიური სასწავლებელი, ადმინისტრაცია ვალდებულია მოს-
თხოვოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გაცე-
მული მივლინების მოწმობა (საგზური) და საბუთი განათლების შე-
სახებ.

ამ დოკუმენტების გარეშე სამუშაოზე მიღება დაუშვებელია—
ადმინისტრაციას უფლება არ აქვს სამუშაოზე მისალებ პირს მოს-
თხოვოს ზემოაღნიშნულის გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი.

დირექტორის მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის
დარგში, მასწავლებლის, აღმზრდელის, ბუნკალტრიის, სამნეო ნაწი-
ლის გამგის, უფროსის პიონერხელმძღვანელის, ექიმისა და ექთანის
სამუშაოზე მიღება ფორმდება დირექტორის ბრძანებით, რაც გა-
მოცემა იმ ორგანოს ბრძანების საფუძველზე, რომელიც ნიშნავს
აღნიშნულ მუშავებს. ბრძანების დაწერასთან ერთად დირექტორს

სათანადო ჩინაშერი შეაქვს სამუშაოზე მიღებულის შრომის წევნითი ცალკეული გადაწყვეტილების ნაკრები.

5. იმ პირის შრომის წიგნაკი, რომელიც პირველად იწყებს მუშაობას, შევსებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოზე მიღებიდან.

სანატორიულ სკოლაში შეთავსებით მომუშავე პირის შრომის წიგნაკი ინახება ძირითად სამუშაო ადგილზე.

აღმინისტრია აწარმოებს შრომის წიგნაკების მოძრაობის დაწესებული ფორმით აღრიცხვას და შრომის წიგნაკებს ინახავს ცეცხლგამძლე კარადაში (ყუთში).

6. დირექტორის მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში, მასწავლებლის, უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელის, პიონერხელმძღვანელისა და სხვა პედაგოგიური მუშავის პირადი საქმის წარმოება იწყება მუშაობის დაწყების დღიდან.

პირად საქმეში ინახება: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტომიოგრაფია, დირექტორის მიერ შემოწმებული განათლების მოწმობა (ასლი), მასწავლებლის პერსონალური წოდების მინიჭების (დოკუმენტი ასლი) იმ პირთათვის, რომელმაც ატესტაცია გაიარეს), ბრძანება დანიშვნის, გადაყვანა-გადანაცელების შესახებ, დახასიათება.

შენიშვნა: განთავისუფლების შემდეგ სანატორიული სკოლის მუშავის პირადი საქმე აღგილზე რჩება და ინახება როგორც საარქივო მასალა.

7. თუ მოსალოდნელია შტატის შემცირება დირექტორი ვალდებულია ამის შესახებ დროულად აცნობოს პროფესიონალის ადგილობრივ კომიტეტს, ავრეთვე რომელი მუშაკი უნდა შემცირდეს და როგორ არის დაგეგმილი მისი შემდგომი შრომა-მოწყობის საქმე. შემცირებული მუშავის განთავისუფლება უნდა მოხდეს ადგილკომის თანხმობის მიღების შემდეგ.

8. თვითეული სანატორიული სკოლა ყველა მუშაკზე აწარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის სააღრიცხვო წიგნს, რომელიც ინახება ცეცხლგამძლე კარადაში (ყუთში).

9. მუშავის სამუშაოზე მიღებისას და სხვა სამუშაოზე გადაუვანის შემთხვევაში სანატორიული სკოლის აღმართებული გალდებულია:

ა) განუმარტოს მუშავს მისი უფლება-მოვალეობანი, შრომის
ანაზღაურების პირობები, გააცეს ის მას მუშაობის, სასწავლო-მუშაობის
სახელშენეო ნივთების მოვლა-აატრინობა, წესები;

ბ) გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ინსტრუქტაციი გაუწიოს
უშიშროების ტექნიკაში, საწარმოო სანიტარიის და ხანძარხაწი-
ნააღმდეგო წესების დაცვაში.

10. მასწავლებლისა და აღმზრდელის სამუშაოზე გადანაცვლე-
ბა ხდება შრომის კანონთა კოდექსის 36-ე და 37-ე მუხ. ზუსტი
ზესაბამისობით—ვიდრე ისინი შვებულებას აიღებდნენ იმ ანგარი-
შით, რომ შვებულების გაფორმებისას მასწავლებლებმა, აღმზრდე-
ლებმა იცოდენ, თუ რომელ ჯგუფში ან კლასში რა დატვირთვით
მოუხდებათ მუშაობა ახალ სასწავლით წელს.

11. მასწავლებელთა განთავისუფლება კლასკომპლექტების ან
სასწავლო-დატვირთვის შემცირების გამო, დასაშევებია მხოლოდ
სასწავლო წლის დამთავრებისას.

12. თუ სანატორიული სკოლის მუშავს თვითონ სურს სამუ-
შაოდან განთავისუფლება, ის ვილდებულია ორი კვირით ადრე
გააფრთხილოს ამის შესახებ სკოლის აღმინისტრაცია. ორი კვირის
გასვლის შემდეგ აღმინისტრაციას უფლება არა აქვს დაუგვიანოს
ანგარიშის გასწორება და განთავისუფლება იმ პირს, ვინც თავისი
სურვილით თავისუფლდება.

13. მუშავის განთავისუფლებისას აღმინისტრაცია ვალდებულია
განთავისუფლების მიზეზის მიუხედავად, იმავე დღეს მისცეს მას
შრომის წიგნაკი განთავისუფლების აღნიშვნით და გაუსწოროს სა-
ბოლოო ანგარიში. განთავისუფლების მიზეზი ნაჩვენები უნდა იქნეს
მოქმედი შრომის კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესა-
ბამისობით ან მოქმედი კანონმდებლობის სათანადო მუხლის ჩვე-
ნებით.

სამუშაოდან განთავისუფლებული მუშავისათვის შრომის წიგნა-
კის გაცემის შეფერხებაში დამნაშავე პირი პასუხს ავებს დისკიპლი-
ნარული წესით.

III. სანატორიული ხატყეო სკოლის აღმინისტრაციისა და მუშაკების ძირითადი მოვალეობანი

14. სანატორიული ხატყეო სკოლის აღმინისტრაცია მოვალეა:

ა) სწორად მთაწესრიგოს მუშავთა შრომა, თვითეული მათგა-
ნი მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით,
ებრძოლოს გაუპიროვნებას მუშაობაში;

ბ) ყველა შრმაკს შეუქმნას ნორმალური პირობები; პედაგო-
გიური პერსონალი სასწავლო წლის უაშებამდე უზრუნველყოფის
სასწავლო, თვილსაჩინო ხელსაწყოებით, მეთოდური ლიტერა-
ტურით;

გ) თვითეულ მუშაკს მოუჩინოს გარევეული სამუშაო აღგილი, მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი, მოწყობილობა და სასწავლო
ხელსაწყოები;

დ) უზრუნველყოს სანატორიული სკოლის ყველა სადგომის
წესიერად შენახვა, მათი რემონტის დროულად ჩატარება, მთელი
ქონების მოვლა-პატრონობა, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარ-
საწინააღმდეგო წესების დაცვა;

შექმნას ნორმალური პირობები სანატორიული სატყეო სკო-
ლის მუშაობისათვის, სისუფთავე დაიცვას სასწავლო, საცხოვრე-
ბელ და სხვა სადგომებში, უზრუნველყოს ნორმალური ტემპერა-
ტურა შენობებში (იქ, სადაც სასწავლო მეცადინეობა ტარდება და
სხვა საყოფაცხოვრებო სადგომებში ტემპერატურა უნდა იყოს
არანაკლები 18° -სა), ხოლო საძინებელში 15° -სა. მოაგვაროს თანა-
მშრომელთა ზედა ტანსაცმლის სათანადოდ შენახვა;

ე) განამტკიცოს შრომის დისკიპლინა;

ვ) შექმნას პირობები საუკეთესო მასწავლებელთა, აღმზრდელ-
თა და სხვა მუშაკთა გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვი-
სათვის;

ზ) გაატაროს ონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუ-
შაობის რაციონალიზაციის, მასწავლებელთა, აღმზრდელთა დროის
ბიუჯეტის მოწესრიგებისა და სანატორიულ სატყეო სკოლის ყვე-
ლა მუშაკის იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის
ამაღლებისათვის.

პროფესიონალური ადგილობრივ კომიტეტთან ერთად ყოველ-
მხრივ აამაღლოს საწარმოო თათბირების როლი, შექმნას ყველა
პირობა მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამოსწორებისათვის და სამი
დღის ვადაში განიხილოს სანატორიული სკოლის მუშაობის გაუ-
მჯობესებისაკენ მიმართული წინადადებები;

თ) შეასრულოს შრომის დაცვის კანონები და წესები, მტკი-
ცედ დაიცვას სამუშაო დღის განაწესი, განახორციელოს უსაფრთხო-
ებისა და საწარმოო სანიტარიის ტექნიკური ღონისძიებანი,
ინსტრუქტაციი გაუწიოს თანამშრომლებს მუშაობაში საფრთხის თა-
ვიდან აცილების ხერხებზე, მოამარავოს გადადულებული სასმელი
წყალი, სათანადოდ მოაწყოს მასწავლებელთა და აღმზრდელთა

ჰირსაბნები, საგარდერობო, დასასვენებელი ოთახი. სასწავლო
ოთახებში დაიცვას ტემპერატურა $16-18^{\circ}$, ფიზიკულტურის განვითარების
გაზში $15-16^{\circ}$. უზრუნველყოს სანატორიული სკოლის ყველა
საღომის ყოველდღიური სველი დასუფთავება და მათი ნორმალუ-
რი განათება;

ი) დროულად ჩატაროს საჭირო პროფილაქტიკური ღონის-
ძიებანი სანატორიული სკოლის სათავსოებსა და კაბინეტებში, პა-
სუხი აგოს აღსაჩრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვი-
სათვის, ამ მიზნით არ დაუშვას უსაფრთხოების ტექნიკის წესების
დარღვევა. და ამის შედეგად საჭარმოო ტრამვის შესაძლებლობა;

კ) უზრუნველყოს ყველა მუშაკისათვის შევებულების თავის
დროზე შიცემა.

შენიშვნა: შევებულების გრაფიკი ადმინისტრაციამ უნდა შეა-
დგინოს არა უგვიანეს ყოველი წლის 1 იანვარს,
შეუთანხმოს იგი პროფორვანიზაციას და დროუ-
ლად გამოუცხადოს მუშაკებს.

ლ) მასწავლებლებს, აღმზრდელებს, დირექტორის მოადგილეს
სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში შევებულება ეძლევათ
სანატორიული სკოლის მუშაობის შეჩერების პერიოდში.

მ) დირექტორის შევებულება ფორმდება განათლების სამინი-
სტროს ბრძანებით, დირექტორის მოადგილის, მასწავლებელთა,
აღმზრდელთა და სხვა მუშაკთა შევებულებები კი სანატორიული
სკოლის დირექტორის ბრძანებით.

ნ) გულისხმიერად მოებუროს მუშაკთა ყოველდღიურ საჭიროე-
ბის, სანატორიულ სკოლის ხარჯზე მიიყვანოს უახლოეს სამკურნა-
ლო დაწესებულებებში უცირად ავად გამხდარი თანამშრომელი;
იზრუნოს მუშაკთა ბინებით უზრუნველყოფისათვის სოფლის ადგი-
ლებში კი მიაღწიოს იმას, რომ მასწავლებლებს და მათ ოჯახებს
მიეცეთ უფასო ბინები გათბობა-განათებით (ნატურით); დროულად
ჩატაროს სასკოლო ბინების კაბიტალური რემონტი;

ო) ზუსტად, დაწესებულ ვადებში, გასცეს მუშაკთა ხელფასი,
დროულად ჩატაროს მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სხვა მუ-
შაკთა ტარიფიკაცია შეადგინოს სატარიფიკაციო სია და იგი და-
წესებულ ვადაში წარუდგინოს დასამტკიცებლად სამანისტროს.

15. სანატორიულ სატყეო სკოლის მუშაკები ვალდებული
არიან:

ა) დაიცვან შრომის დისკიპლინა, სასწავლო რეჟიმი და შინაგანაწესი;

ბ) თავის დროზე გამოცხადდნენ სამუშაოზე, ზუსტად, ყოველ-გვარი დარღვევების გარეშე დაიცვან დროის დაწესებული ხან-გრძლივობა და ნაყოფიერად გამოიყენონ იგი; დროულად და ზუსტად შეასრულონ აღმინისტრაციის კანონიერი განკარგულებანი;

გ) დროულად და გულმოდვინედ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი მოწინავე აქდაგოგიური გამოცდილების საფუძველზე უზრუნველყონ სისწავლო-აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალი ხარისხი, სისტემატურად აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია;

დ) გაუფრთხილდნენ სოციალისტურ საქუთრებას: შორის მოწყობილობას, ინვენტარს, მასალებს, სასწავლო ნივთებს და სხვა;

ე) მთლიანად დაიცვან სათანადო ინსტრუქციებით გათვალისწინებული უსაფრთხოების, სანიტარულ-ტეგინური და ხანძარ-საწინააღმდეგო წესები.

16. სანატორიული სატყეო სკოლის დირექტორი მოვალეა უზრუნველყოს მთელი სასწავლო აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება; დახმარების გაწევა პიონერული, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი და სანატორიული სატყეო სკოლის მთელი საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, სამუშაო გეგმის მიხედვით; მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სხვა თანამშრომელთა მუშაობაზე პირადი კონტროლი, ახალგაზრდა მასწავლებელთა და აღმზრდელთათვის დახმარების გაწევა, მუშაქთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება, დაწესებული სტატისტიკური ანგარიშების წარმოება, წერილობითი წლიური ანგარიშების შედგენა სანატორიული სატყეო სკოლის მუშაობის შესახებ.

სანატორიულ სატყეო სკოლის დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა შემდეგზე: აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ყველა პირობის შექმნა მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის; მოსწავლეთა დროული და მაღალხარისხოვანი კვება; სანატორიული სატყეო სკოლისათვის სათანადო მატერიალური შექმნა; შენობების დროული რემონტი, სათბობით მომარაგება, რბილი და მავარი ინვენტარით მომარაგება; ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესრულება.

დირექტორი თავმჯდომარეობს სანატორიული სკოლის პედა-
გოგიურ საბჭოს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

დირექტორი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აღრიცხვის წიგნის
და თანამშრომლის პირადი საქმის წარმოებას; ის არის სანატო-
რიული სატყეო სკოლისათვის გამოყოფილი კრედიტების განვარ-
გულებელი, პასუხს აგებს სახსრების სწორი ხარჯებისათვის საშტა-
ტო განრიგისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მოქმედი კანონ-
მდებლობისა და სანატორიული სატყეო სკოლის დირექტორის მიერ გაცემუ-
ლი განკარგულებანი საფალდებულოა სკოლა-სანატორიუმში მოშუ-
შავი ყველა თანამშრომლისათვის და შეიძლება შეცვლილ იქნეს
შხოლოდ შემდგომი ორგანოების მიერ.

დირექტორის სამუშაო დღე არანორმირებულია.

17. დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუ-
შაობის დარგში უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდე-
ლობითს და მეთოდურ მუშაობას სანატორიულ სატყეო სკოლაში
და დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია ამ მუშაობის მაღალ
დონეზე დაყენებისათვის, ის მოვალე უზრუნველყოს მთელი სასწავ-
ლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაცია; სწავლებისა
და აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხი, მოსწავლეთა
ცოდნის აღრიცხვისა და საშინაო დაგალებებზე მუშაობის სწორად
დაყენება, აღმზრდელთა და მასწავლებელთა მხრივ სასწავლო გეგ-
მების, პროვინციული გეგმების შესრულება; აღმზრდე-
ლების, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე
კონტროლი, მათთან მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია; დირექ-
ტორთან ერთად წერილობითი ანგარიშის შედეგენა სკოლის წლიუ-
რი მუშაობის შედეგების შესახებ, სასწავლო-სააღმზრდელო ნაწი-
ლის გამგე ხელმძღვანელობს სანატორიულ სკოლაში სამედიცინო
პედაგოგიური თათბირის მუშაობას.

დირექტორის მოადგილის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის
დარგში სამუშაო დღე არანორმირებულია,

18. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში პასუხის-
მგებელია შემდეგზე: სკოლა-სანატორიუმის მუშანეობის წესრიგში
ყოფნა, მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია; სასწავლო-აღმზრდელო-
ბითი პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალა-ხელსაწყოებით,
სადგომებისა და ინვენტარის რემონტი, აგრძელება სანატორიული
სატყეო სკოლის მთელი ქონების დაცვა-პატრონობა; კვების პრო-



დუქტების, საობობისა და სხვა საჭირო მასალების დროულად შენობების დება და სანატორიულ სკოლაში მიტანა, შენობების ნორმალური გენერაცია, სანატორიული სკოლის კეთილმოწყობა და სათანადო სანიტარული პირობების დაცვა, ტრანსპორტის სწორი გამოყენება.

დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის ინსტრუქტაჟსა და მის მუშაობაზე კონტროლს, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვების შესრულებას.

დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში სანატორიული სკოლას დირექტორის ნებართვით და საფინანსო დისციპლინის დაცვით აწარმოებს სახსრების ხარჯებას სამეურნეო საჭიროებისათვის და ანგარიშს აბარებს დირექტორს. სამეურნეო ნაწილში დირექტორის თანაშემწეს სამუშაო დღე არანორმირებულია.

19. სამეურნეო ნაწილის გამგე ვალდებულია დირექტორის წინაშე სანატორიული სკოლის შენობისა და სხვა ქონების დაცვაზე სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დაცვაზე. დროულად წყლითა და სათბობით უზრუნველყოთაზე, სანატორიული სკოლის პროდუქტებით მომარაგებაზე. მომსახურე პერსონალის მუშაობის სწორობანიზაციაზე და ხანძარსაწინააღმდეგო წესების გატარებაზე. აწესრიგებს დამხმარე მეურნეობის მუშაობას, ორგანიზაციას უკეთებებს სანატორიული სკოლის შენობის რემონტს. დირექტორის ნებართვით აწარმოებს სამეურნეო საჭიროებისათვის ფულადი სახსრების ხარჯებას და ამის შესახებ ანგარიშს აბარებს სანატორიული სკოლის დირექტორს.

სამეურნეო ნაწილის გამგის სამუშაო დღე არანორმირებულია.

20. მასწავლებელი უშუალო პასუხისმგებელია სანატორიული სკოლის დირექტორის წინაშე მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის სასწავლო გეგმისა და პროგრამების (იმ საგნებში, რომელსაც ის ასწავლის) დროულად შესრულების, მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანისა და მათი სკოლიდან მტკიცე ცოდნით გამოშევისათვის. პასუხს ავებს მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯამშრთელობის დაცვისათვის აღსაზრდელთა გაკვეთი დაწესებულის დროს.

მასწავლებელი გულმოდგინედ უნდა მოემზადოს გაკვეთილისა და მეცადინეობისათვის, იქნიოს გაკეთილის ჩატარების გეგმა, წესიერად აწარმოოს საკლასო უზრნალი თავის საგანმი და სასწავლის დროს.

ლო წლის ბოლოს შეადგინოს ანგარიში პროგრამის შესრულების შესახებ.

21. სანატორიულ სატყეო სკოლაში კლასის ხელმძღვანელები ინიშნებიან და მუშაობენ კლასის ხელმძღვანელის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია აწარმოოს მოსწავლეთა ყოველდღიური შესწავლა, სისტემატურად ადვენოს თვალყური მათ ქცევასა და აკადემიურ მოსწრებას. ბაგშევებთან მუშაობა მოაწესრიგოს სანატორიულ სატყეო სკოლაში არსებული გამაჯანსალებელი რეკიმის მიხედვით. აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამედიცინო-პედაგოგიურ მუშაობაში. მთელი თავისი მუშაობა წარმართოს დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

22. აღმზრდელი ყოველდღიურად ატარებს აღმზრდელობით მუშაობას ბაგშევებთან, ჯგუფში აწესრიგებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას სასწავლო მეცადინეობისათვის მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს სხვადასხვა სახის კლასგარეშე ღონისძიებას, ყოველმხრივ სწავლობს თვითეულ ბავშვს, ზრუნავს მისთვის, ახორციელებს იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას და ბაგშევებში ნერგავს კულტურული ქცევის ჩვევებს, უზრუნველყოფს დაწესებული რეკიმისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებას მოსწავლეთა მიერ.

